საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

# ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საქმიანობის შეფასება

(2020 წლის 11 დეკემბერი - 2022 წლის 17 ივნისი)

კვლევის ხელმძღვანელი:

**ლიკა საჯაია**

წამყვანი მკვლევარი:

**თამარ ტატანაშვილი**



Sweden/შვედეთი
Sverige

კვლევა მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში

გამოთქმული შეხედულებები არ გამოხატავს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) შეხედულებებს.

# სარჩევი

**შესავალი** 4

**თავი 1. საბჭოს უფლებამოსილება და შემადგენლობა** 6

**თავი 2. სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელების პროცესი** 8

**თავი 3. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება** 10

3.1. პარლამენტის მიერ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების ხელშეწყობა და მონიტორინგი 10

3.2. პარლამენტის საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესება 11

3.3. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება 13

3.4. მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა 15

3.5. პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა 16

3.6. საპარლამენტო ღიაობის გაუმჯობესება 17

3.7. საკანონმდებლო პროცესის ხელშეწყობა და გაუმჯობესება 17

# შესავალი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო”-ს საპარლამენტო მონიტორინგის პროექტის ფარგლებში შესრულებული კვლევა მოიცავს ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს (შემდეგში - საბჭო) საქმიანობას X მოწვევის პარლამენტში **2020 წლის 11 დეკემბრიდან 2022 წლის 17 ივნისის** ჩათვლით პერიოდში (შემდეგში - საანგარიშო პერიოდი).

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში, შესწავლილი და შეფასებულია საბჭოს მიერ განხორციელებული საქმიანობა და საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

კვლევა ეფუძნება პარლამენტიდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციას, პარლამენტის ვებგვერდზე არსებულ მონაცემებსა და ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს.

## *ძირითადი მიგნებები*

ღია მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსა და სამოქალაქო სექტორს შორის მჭიდრო თანამშრომლობაა. მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმის შედგენისას საბჭო არასამთავრობო სექტორის რეკომენდაციების უმეტესობას ითვალისწინებს, პრობლემად რჩება გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შესრულება. საპარლამენტო საქმიანობაში არაერთი გამოწვევაა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, მოქალაქეთა ჩართულობისა და პარლამენტის საქმიანობის ღიაობასთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემას წარმოადგენდა არასამთავრობო სექტორის, მედიისა და მოქალაქეებისათვის პარლამენტის შენობაში შესვლა და სხდომებზე დასწრება. ამასთან ერთად, 2021 წლის შემოდგომიდან, შესასვლელთან კვლავ აღმართული იყო რკინის ჯებირი. აღნიშნულ საკითხებზე პარლამენტს, მათ შორის, ღია მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოს რეაგირება არ მოუხდენია.

## სტატისტიკური მონაცემები

- საანგარიშო პერიოდში საბჭომ ჩაატარა **4 სხდომა**;
- საბჭოში შეიქმნა **19 სამუშაო ჯგუფი;**
- 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 19 ვალდებულებიდან სრულად შესრულდა **3**, დანარჩენზე მიმდინარეობს მუშაობა.

## მიღწევები

- პარლამენტმა მხარი დაუჭირა **რეგლამენტში ცვლილებებს,** სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე, კერძოდ, კომიტეტის მიერ სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მომზადებისა და გამოცემის წესს, სამუშაო პროცესის ვადებისა და მიზნების გაწერას, სამუშაო ჯგუფების სტატისტიკის შედგენასა და სამუშაო ჯგუფების საჯარო შეხვედრების ოქმების/აუდიო ჩანაწერების პროაქტიულად გამოქვეყნებას;
- სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის **კომიტეტის დებულებაში შევიდა ცვლილება**, რომლის თანახმადაც, სახალხო დამცველის ანგრიშის მოსმენის შემდეგ, უწყებების მხრიდან მოსაზრებების მომზადების და კომიტეტისთვის გაზიარების ორივე ეტაპზე, კომიტეტისათვის გაგზავნილი პასუხები, მათი მიღებიდან 3 დღის ვადაში გამოქვეყნდება ვებგვერდზე;
- სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა **კომიტეტის დებულებაში შევიდა ცვლილება**, რომლის მიხედვითაც, კომიტეტი, პერიოდულად, პარლამენტის ვებგვერდზე გამოაქვეყნებს ჯანდაცვის სამთავრობო პროგრამების საზედამხედველო ონლაინ პლატფორმის ანგარიშებს;

- პარლამენტის აპარატმა შეიმუშავა საგანგებო მდგომარეობისას (ასევე კრიზისულ სიტუაციებში) პარლამენტის ფუნქციონირებისა და სამუშაო პროცესის უწყვეტობის შესახებ მეთოდოლოგია/ გეგმა;

- სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (CRRC), ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, განახორციელდა კვლევა „საპარლამენტო საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმებისა და მათი ეფექტურობის შესახებ“;

- პარლამენტში მოქალაქეთა განახლებულმა მისაღებმა ფუნქციონირება დაიწყო.

## *გამოწვევები*

პრობლემას წარმოადგენდა პარლამენტის შენობაში შესვლა სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის, მათ დაუსაბუთებლად ეუბნებოდნენ უარს. ამასთან ერთად, 2021 წლის შემოდგომიდან, შესასვლელთან კვლავ აღმართული იყო რკინის ჯებირი.[1] აღნიშნულ საკითხებზე საბჭოს რეაგირება არ მოუხდენია.

- სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული **19 ვალდებულებიდან სრულად შესრულებულია მხოლოდ 3**. დანარჩენ ვალდებულებებთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა. ვალდებულებების შესრულების ბოლო ვადა 2022 წელია, თუმცა შეუსრულებელი ვალდებულებების ნაწილს უკვე გასული აქვს გეგმით გათვალისწინებული შესრულების ვადა.

- დადგენილ ვადაში არ შესრულდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შემდეგი მნიშვნელოვანი ვალდებულებები:

  - არ არის შემუშავებული და მიღებული ცვლილებები რეგლამენტში, რომლებიც უნდა ითვალისწინებდნენ საგანგებო მდგომარეობის დროს პარლამენტის როლის გაზრდას. ცვლილებებმა უნდა უზრუნველჰყონ საგანგებო მდგომარეობის დროს პარლამენტში დისტანციურ რეჟიმში საქმიანობის წარმართვის შესაძლებლობა და ასევე, საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმი;

  - პარლამენტისა და კომიტეტების ანგარიშების სტრუქტურის დახვეწის მიმართულებით ცვლილებები არ განხორციელებულა;

  - საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე ცვლილებები არ განხორციელებულა, კერძოდ, პარლამენტს უნდა შეექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავდა კონტროლის შესახებ ვებგვერდზე ახალ მოდულს, წარუდგენდა საბჭოს და ახალი მოდულის ინტეგრაცია  განხორციელდებოდა პარლამენტის ვებგვერდზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამჭვირვალე იყოს ინფორმაცია თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე კონტროლის მიმართულებით.

## შეფასება და რეკომენდაციები

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემას წარმოადგენდა არასამთავრობო სექტორის, მედიისა და მოქალაქეებისათვის პარლამენტის შენობაში შესვლა და სხდომებზე დასწრება, რასაც საბჭოს რეაგირება არ მოჰყოლია.

მიუხედავად იმისა, რომ 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა საპარლამენტო საქმიანობის მიმართულებით მნიშვნელოვან ვალდებულებებს ითვალისწინებს, მათი ნაწილი  კვლავ არ არის შესრულებული.

---

1 „პარლამენტის შესასვლელთან განთავსებული რკინის კონსტრუქციის დემონტაჟი მიმდინარეობს”, www.interpresnews.ge 14.07.2022, https://bit.ly/3znzzMe

- საბჭო ყურადღებას უნდა აქცევდეს დაინტერესებულ პირთათვის პარლამენტის შენობაში შესვლაზე დაუსაბუთებლად უარის თქმის შემთხვევებს;
- მიზანშეწონილია, საბჭოს სამოქმედო გეგმა მოიცავდეს მეტად ამბიციურ ვალდებულებებს და ითვალისწინებდეს სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებით ღია მმართველობის პარტნიორობის რეკომენდაციებს[2]. მნიშვნელოვანია არა სამოქმედო გეგმის ვალდებულებების რაოდენობა, არამედ მათი შინაარსი და მასშტაბურობა;
- საქართველოს პარლამენტმა უნდა გაამარტივოს შენობაში მოქალაქეთა შესვლის პროცედურა, მოქალაქეებს საშვის გარეშე, უსაფრთხოების შემოწმების გავლით უნდა შეეძლოთ პარლამენტის შენობაში შესვლა;
- მნიშვნელოვანია, რომ საბჭომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეასრულოს ვალდებულებები, ასევე, უფრო აქტიური უნდა იყოს სამუშაო ჯგუფების საქმიანობა;
- საბჭომ უნდა შეიმუშაოს და მიიღოს რეგლამენტში ცვლილებები, რომლებიც შეეხება საგანგებო მდგომარეობის დროს პარლამენტის როლის გაზრდას;
- უნდა დამტკიცდეს პარლამენტისა და კომიტეტების ანგარიშების ერთიანი განახლებული ფორმა, რომელიც, მათ შორის გაითვალისწინებს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის უფრო ფართო სპექტრს;
- უნდა შეიქმნას საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების შესახებ ახალი მოდული;
- პარლამენტის ვებგვერდი კვლავ საჭიროებს დახვეწას და მნიშვნელოვანია რომ განთავსებული ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისთვის.

# თავი 1. საბჭოს უფლებამოსილება და შემადგენლობა

***ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიზანია ღია მმართველობის პრინციპების გათვალისწინებით პარლამენტის ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა და ამ მიმართულებით პარლამენტის სისტემური და კოორდინირებული მუშაობა.***

მეათე მოწვევის პარლამენტში ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო (შემდგომ – საბჭო) შეიქმნა 2021 წლის 21 იანვარს. 2021 წლის 27 მაისამდე საბჭოს თავმჯდომარე იყო მარიამ ქვრივიშვილი[3], ხოლო შემდეგ ამ პოსტზე დაინიშნა გივი მიქანაძე.




2 იხ. OGP National Handbook Rules and Guidance for Participants, https://bit.ly/3CEGvFA ; Government Point of Contract Manual, https://bit.ly/3SclMyO.

3 მარიამ ქვრივიშვილს შეუწყდა დეპუტატის უფლებამოსილება, რადგან დაინიშნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე.

## საბჭოს წევრები:

**გივი მიქანაძე**
(საბჭოს თავმჯდომარე)

**გიორგი ამირახვარი**

**თეონა აქუბარდია**

**მარიამ ღაშხი**

**ღევან იოსელიანი**

**ანა წითლიძე**

**ნინო იობაშვილი**

**ეკა სეფაშვილი**

**ირაკლი ზარქუა**

**მიხეილ სარჯველაძე**

**ავთანდილ ენუქიძე**

**ნიკოლოზ სამხარაძე**

**მაკა ბოჭორიშვილი**

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**

**თინათინ ბოკუჩავა**

**ანა ნაცვლიშვილი**

**მაია ბითაძე**

**თამარ კორძაია**

**ხატია წიღოსანი**

## *საბჭოს თანამშრომლობა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან და სამოქალაქო სექტორთან*

საბჭოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესრულებისა და ღია მმართველობის სფეროში განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგი. 2022 წლის 19 მაისს საბჭომ მოისმინა ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ ღია მმართველობის სფეროში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში.

ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში საბჭოს მხარს უჭერს მასთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც აერთიანებს 14 ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციას და საქართველოს სახალხო დამცველის ოფისს. საკონსულტაციო ჯგუფს თავმჯდომარეობს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI).

# თავი 2. სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელების პროცესი

საბჭო შეიმუშავებს სამოქმედო გეგმებსა და მათი შესრულების შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს.

ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა მუშავდება საბჭოსა და საკონსულტაციო ჯგუფის მიერ. გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელია პარლამენტი. ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები.

საბჭოს მეოთხე, 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა შედგება **19 ვალდებულებისგან**.[4] გეგმის ვალდებულებები დაყოფილია შვიდ მიმართულებად:

1. *პარლამენტის მიერ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების ხელშეწყობა და მონიტორინგი*
2. *პარლამენტის საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესება*
3. *ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება*
4. *მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა*
5. *პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა*
6. *საპარლამენტო ღიაობის გაუმჯობესება*
7. *საკანონმდებლო პროცესის ხელშეწყობა და გაუმჯობესება.*

გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან 12-ის ინიციატორები არიან ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები; 4 - სახალხო დამცველი, 1 - სახალხო დამცველი და საერთაშორისო ორგანიზაცია; 1 - განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი და საერთაშორისო ორგანიზაცია; 1- საბიუჯეტო ოფისი.

ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული თითოეული ვალდებულების შესრულების მიზნით შეიქმნა **19 სამუშაო ჯგუფი**, რომელთა შემადგენლობაში არიან საბჭოს წევრი დეპუტატები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სახალხო დამცველი.

2021 წლის 6 ივლისს ბიუროს წარედგინა საბჭოს 2021 წლის საქმიანობისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

| სამუშაო ჯგუფი | ჯგუფის ხელმძღვანელი | ჩატარებული სხდომების რაოდენობა |
|---|---|---|
| ვალდებულება 1.1. მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და<br>მონიტორინგისთვის პარლამენტის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის<br>შემუშავება | ნიკოლოზ სამხარაძე (უმრავლესობა) | 4 შეხვედრა |

4 ვალდებულებების ინიციატორები არიან: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო/დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (USAID/GGI), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI-G), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), საქართველოს სახალხო დამცველი, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი.

| | | |
|---|---|---|
| ვალდებულება 2.1. სახელმწიფო (საჯარო) ვალთან დაკავშირებით პარლამენტის შესაძლებლობების გაძლიერება და ინფორმირებულობის გაზრდა | ეკა სეფაშვილი (უმრავლესობა)<br>ირაკლი ზარქუა (უმრავლესობა) | 2 შეხვედრა და ერთი ვებინარი. |
| ვალდებულება 2.2. საქართველოს სახალხო დამცველის წინადადებებთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის ვალდებულებისა და მისი მუშაობის ვადების გაწერა | მიხეილ სარჯველაძე<br>(უმრავლესობა) | 1 შეხვედრა |
| ვალდებულება 2.3. პარლამენტის როლის გაზრდა საგანგებო მდგომარეობის დროს | ხატია წილოსანი<br>(უმრავლესობა) | 3 შეხვედრა და ერთი ვებინარი. |
| ვალდებულება 3.1. კანონპროექტებთან დაკავშირებით უწყებებისგან/ დაინტერესებული პირებისგან მიღებული მოსაზრებების გამოქვეყნება | თამარ კორძაია<br>(ოპოზიცია) | 1 შეხვედრა |
| ვალდებულება 3.2. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშთან/პარლამენტის შესაბამის დადგენილებასთან დაკავშირებით უწყებების პასუხების გამოქვეყნება | მიხეილ სარჯველაძე<br>(უმრავლესობა) | 1 შეხვედრა |
| ვალდებულება 3.3. პარლამენტის კომიტეტებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა | მიხეილ სარჯველაძე<br>(უმრავლესობა) | 2 შეხვედრა |
| ვალდებულება 3.4. პარლამენტის კომიტეტების სხდომების ოქმების ვებგვერდზე გამოქვეყნებისათვის ვადების შემოღება | მიხეილ სარჯველაძე<br>(უმრავლესობა) | 2 შეხვედრა |
| ვალდებულება 3.5. კანონპროექტებთან დაკავშირებით პარლამენტის კომიტეტების სხდომების აუდიოჩანაწერების გამოქვეყნება | მიხეილ სარჯველაძე<br>(უმრავლესობა) | 2 შეხვედრა |
| ვალდებულება 3.6. ჯანდაცვის სამთავრობო პროგრამების საზედამხედველო პლატფორმის ანგარიშების პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნება | მიხეილ სარჯველაძე<br>(უმრავლესობა) | 1 შეხვედრა |
| ვალდებულება 3.7. პარლამენტის ახალი ვებგვერდის შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოება | ლევან იოსელიანი (ოპოზიცია)<br>ეკა სეფაშვილი<br>(უმრავლესობა) | 1 შეხვედრა |
| ვალდებულება 3.8. საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება | მიხეილ სარჯველაძე (უმრავლესობა)<br>ალექსანდრე რაქვიაშვილი (ოპოზიცია) | შეხვედრა არ გაუმართავს |
| ვალდებულება 4.1. სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერება საპარლამენტო საქმიანობაში | გივი მიქანაძე (უმრავლესობა)<br>თეონა აქუბარდია (ოპოზიცია) | 6 შეხვედრა |

| | | |
|---|---|---|
| ვალდებულება 4.2. მოქალაქეთა ინფორმირება ახალი კანონმდებლობის შესახებ | გიორგი ამილახვარი (უმრავლესობა) | 2 შეხვედრა და ერთი ტრენინგი |
| ვალდებულება 5.1. პარლამენტის ყოველწლიური ანგარიშების სტრუქტურის გაუმჯობესება | ხატია წილოსანი (უმრავლესობა) | 1 შეხვედრა |
| ვალდებულება 5.2. საქართველოს პარლამენტის ეთიკის საბჭოს მუშაობის ეფექტიანობის გაუმჯობესება | თამარ კორძაია (ოპოზიცია) | 1 შეხვედრა |
| ვალდებულება 6.1. ყოველწლიური კონფერენცია პარლამენტის ღიაობის აქტუალურ საკითხებზე | გივი მიქანაძე (უმრავლესობა)<br>გიორგი ამილახვარი (უმრავლესობა)<br>ეკა სეფაშვილი (უმრავლესობა) | 2 შეხვედრა |
| ვალდებულება 6.2. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში საპარლამენტო ღიაობის ინიციატივის ფარგლებში რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება | გივი მიქანაძე (უმრავლესობა)<br>მაკა ბოჭორიშვილი (უმრავლესობა)<br>ეკა სეფაშვილი (უმრავლესობა) | 2 შეხვედრა |
| ვალდებულება 7.1. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის ფინანსური დასაბუთების სარეკომენდაციო მეთოდოლოგიის შემუშავება | ირაკლი ზარქუა (უმრავლესობა) | 3 შეხვედრა |

# თავი 3. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება

## 3.1. პარლამენტის მიერ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების[5] შესრულების ხელშეწყობა და მონიტორინგი

| ვალდებულებით გათვალისწინებული აქტივობები | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგის პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის *შესრულების ანალიზი* | *გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)* | *შესრულდა* |
| ანალიზის საფუძველზე შემუშავდა „მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგის პარლამენტის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა“. | | |

5 მდგრადი განვითარების მიზნები 17 მიზნისა და 169 ინდიკატორის ნაკრებია, რომლებზეც თანხმდება გაეროს ყველა წევრი ქვეყანა უკეთესი და უფრო მდგრადი მომავლის მისაღწევად. ეს მიზნები არსებულ თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს ეხება: სიღარიბის, უთანასწორობის, კეთილდღეობის, მშვიდობისა და სამართლიანობის საკითხებს, ასევე კლიმატურ და ეკოლოგიურ გამოწვევებს. https://uni.cf/2H7er0T

| ვალდებულებით გათვალისწინებული აქტივობები | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგის პარლამენტის 2022-2024 წლების *სამოქმედო გეგმის შემუშავება* | *გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)* | *გეგმით გათვალისწინებულ ვადაში[6] ვერ შესრულდა, მიმდინარეობს მუშაობა* |
| მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგის პარლამენტის 2022-2024 წლების *სამოქმედო გეგმის განხორციელება* | | *მიმდინარეობს მუშაობა[7]* |
| სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, ექსპერტის მხარდაჭერით, შემუშავდა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგის პარლამენტის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი. აღნიშნული პროექტი განხილულ იქნა სამუშაო შეხვედრაზე კომიტეტების და პარლამენტის აპარატის წარმომადგენლების ფართო ჩართულობით. შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ პროექტი საჭიროებდა დახვეწას პარლამენტის საჭიროებებისა და რესურსების გათვალისწინებით. ამჟამად მუშაობა აღნიშნული მიმართულებით დასრულებული არ არის.[8] | | |

## 3.2. პარლამენტის საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესება

| ვალდებულებით გათვალისწინებული აქტივობა | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| *სახელმწიფო (საჯარო) ვალთან დაკავშირებით პარლამენტის შესაძლებლობების გაძლიერება და ინფორმირებულობის გაზრდა* | ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) | ნაწილობრივ შესრულდა |
| საანგარიშო პერიოდში სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, ექსპერტის მხარდაჭერით და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან თანამშრომლობით, შემუშავდა სახელმწიფო (საჯარო) ვალთან დაკავშირებული პროცესების შესახებ გზამკვლევი. დოკუმენტი მიმოიხილავს სხვადასხვა აქტორის, მათ შორის, პარლამენტის როლს ვალის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში და საერთაშორისო სტანდარტებს. ვალდებულებით გათვალისწინებული ეს აქტივობა **ნაწილობრივ არის შესრულებული**. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, იგეგმება გზამკვლევის პრეზენტაცია და პარლამენტის ვებგვერდზე განთავსება. ამ აქტივობის შესრულების ვადა გეგმის მიხედვით დასრულდა 2022 წლის თებერვალში.<br><br>აღნიშნული ვალდებულება ასევე ითვალისწინებს დამატებით ორი აქტივობის განხორციელებას: ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი ტრენინგებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ყოველწლიური საჯარო განხილვების ჩატარებას. 2021 წლის დეკემბერში ჩატარდა საჯარო ვებინარი თემაზე „2022 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმოხილვა", ასევე, მოქალაქეთა ინფორმირებისთვის, მომზადდა და ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბიუჯეტზე ინფოგრაფიკები. შემუშავდა სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვების გეგმა. | | |

6 შესრულების ვადა 12.2021
7 შესრულების ვადა 12.2022
8 ამ აქტივობის დასრულების ვადად მითითებულია 2021 წლის დეკემბერი.

| ვალდებულებით გათვალისწინებული აქტივობა | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| სახალხო დამცველის წინადადებებთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის ვალდებულებისა და მისი მუშაობის ვადების გაწერა | სახალხო დამცველი | შესრულდა |
| აღნიშნული ვალდებულება **სრულად არის შესრულებული**. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის **დებულებაში შევიდა ცვლილება**, რომლის თანახმადაც, სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის პარლამენტისთვის წარდგენიდან 1 თვის ვადაში, კომიტეტი ქმნის სამუშაო ჯგუფს. სამუშაო ჯგუფმა სახალხო დამცველის ანგარიშით გათვალისწინებული წინადადებების გაზიარების მიზანშეწონილობის საკითხი უნდა შეისწავლოს. | | |

| ვალდებულებით გათვალისწინებული აქტივობა | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| პარლამენტის როლის გაზრდა საგანგებო მდგომარეობის დროს | გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) | ნაწილობრივ შესრულდა |

აღნიშნული აქტივობა სამოქმედო გეგმის მიხედვით ორ კომპონენტს ითვალისწინებს:

1. საგანგებო მდგომარეობის (და ასევე კრიზისული სიტუაციების) დროს პარლამენტის საქმიანობის უწყვეტობის (business continuity) შესახებ მეთოდოლოგიის/გეგმის შემუშავება. ზემოაღნიშნული აქტივობა **სრულად შესრულებულია.** მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობის მიზნით, ჩატარდა ვებინარი თემაზე „პარლამენტის როლის გაძლიერება საგანგებო სიტუაციების დროს: გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოსთვის“. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მხარდაჭერით, მომზადდა და სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის გაზიარებული იქნა შემდეგი დოკუმენტები:

   - პარლამენტის ციფრული ტრანსფორმაციის კონცეფცია;
   - საპარლამენტო ზედამხედველობა საგანგებო სიტუაციებში, რეკომენდაციები პარლამენტისთვის;
   - პარლამენტში ელექტრონული ხელსაწყოების გამოყენების მხარდაჭერა, შეფასების ანგარიში;
   - პარლამენტის საქმიანობის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და აპარატის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის უწყვეტობის გეგმები.

2. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, პარლამენტის **რეგლამენტში შესატანი ცვლილებების ინიცირება**, რომლითაც დადგინდება საგანგებო მდგომარეობის დროს პარლამენტის ფუნქციონირების შესახებ სპეციალური პროცედურები, მათ შორის: ა) დაიშვება დისტანციურ რეჟიმში საქმიანობის წარმართვა; ბ) განისაზღვრება სპეციალური საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმი საგანგებო მდგომარეობის დროს ასამოქმედებლად. ვალდებულების აღნიშნული კომპონენტი **არ არის შესრულებული.** მისი შესრულების ვადად, გეგმის მიხედვით, განსაზღვრული იყო 2021 წლის დეკემბერი.

## 3.3. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

| ვალდებულებით გათვალისწინებული აქტივობა | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| კანონპროექტებთან დაკავშირებით უწყებებისგან/დაინტერესეული პირებისგან მიღებული მოსაზრებების გამოქვეყნება | სახალხო დამცველი | ნაწილობრივ შესრულდა, განხორციელების პროცესი მიმდინარეობს |
| სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა, რომ ამ აქტივობის შესრულებაზე მუშაობა დაიწყებოდა პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შემდეგ. რეგლამენტის შემდეგ, ასევე, ცვლილებები უნდა შესულიყო *„საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“* პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებაში. მიმდინარეობს მუშაობა პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებაში შესატანი ცვლილებების პროექტზე, რომლის განხილვა დაგეგმილია სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე. | | |

| ვალდებულებით გათვალისწინებული აქტივობა | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშთან/ პარლამენტის შესაბამის დადგენილებასთან დაკავშირებით უწყებების პასუხების გამოქვეყნება | სახალხო დამცველი | შესრულდა |
| აქტივობის შესრულების მიზნით, პარლამენტის ბიუროს 2021 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით, **ადამიანის უფლებების კომიტეტის დებულებაში შევიდა ცვლილებები**. პარლამენტში სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენის შემდეგ უწყებები აფიქსირებენ მოსაზრებებს და წარუდგენენ კომიტეტს. კომიტეტისთვის გაგზავნილი პასუხები მათი მიღებიდან 3 დღის ვადაში გამოქვეყნდება ვებგვერდზე. | | |

| ვალდებულებით გათვალისწინებული აქტივობა | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| პარლამენტის კომიტეტებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა | ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) | ნაწილობრივ შესრულდა |
| პარლამენტმა მხარი დაუჭირა რეგლამენტში ცვლილებებს, რომლებიც შეეხება კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხს. კერძოდ, გაიწერა შემდეგი საკითხები:<br>• კომიტეტის გადაწყვეტილების მომზადებისა და გამოცემის წესი;<br>• სამუშაო პროცესის ვადები და მიზნები;<br>• სამუშაო ჯგუფების სტატისტიკის შედგენის საკითხი და ჯგუფების საჯარო შეხვედრების ოქმების/ აუდიოჩანაწერების პროაქტიულად გამოქვეყნებასთან დაკავშირებული საკითხები.<br>აღნიშნული ვალდებულება ასევე ითვალისწინებს მეორე აქტივობას, კერძოდ, სამუშაო ჯგუფების შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად ~ გამოქვეყნებას, რაც **არ შესრულებულა**. | | |

| ვალდებულებით გათვალისწინებული აქტივობა | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| პარლამენტის კომიტეტების სხდომების ოქმების ვებგვერდზე გამოქვეყნებისათვის ვადების შემოღება | სახალხო დამცველი | შესრულდა |
| რეგლამენტში შესული ცვლილებების თანახმად განისაზღვრა, რომ კომიტეტის სხდომის ოქმი და აუდიოჩანაწერი ვებგვერდზე უნდა გამოქვეყნდეს სხდომის დასრულებიდან 14 დღის ვადაში. | | |

| ვალდებულებით გათვალისწინებული აქტივობა | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| კანონპროექტებთან დაკავშირებით პარლამენტის კომიტეტების სხდომების აუდიოჩანაწერების გამოქვეყნება | სახალხო დამცველი და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) | ნაწილობრივ შესრულდა |
| საკომიტეტო განხილვის/მოსმენის ჩანაწერის პროაქტიულად გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, პარლამენტის რეგლამენტში შევიდა შესაბამისი ცვლილებები. ასევე, მომზადებულია „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებაში შესატანი ცვლილებების პროექტი. | | |

| ვალდებულებით გათვალისწინებული აქტივობა | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| ჯანდაცვის სამთავრობო პროგრამების საზედამხედველო პლატფორმის ანგარიშების პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნება | აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო/ დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (USAID/GGI) | ნაწილობრივ შესრულდა |
| საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომიტეტმა მოამზადა „საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მონიტორინგის და შეფასების პირველი ანგარიში“.<br><br>ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის დებულებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც კომიტეტს მიეცა უფლება პარლამენტის ვებგვერდზე პერიოდულად გამოაქვეყნოს ჯანდაცვის სამთავრობო პროგრამების საზედამხედველო ონლაინპლატფორმის ანგარიშები, თუმცა აღნიშნული ანგარიშები ჯერ არ გამოქვეყნებულა. | | |

| ვალდებულებით გათვალისწინებული აქტივობა | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| პარლამენტის ახალი ვებგვერდის შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოება | აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო/ დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (USAID/GGI) | ნაწილობრივ შესრულდა |
| საინფორმაციო კამპანიის მომზადების მიზნით განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა, კერძოდ, მომზადდა ვიდეომასალა ახალი ვებგვერდით გათვალისწინებული დისტანციური სერვისების თაობაზე, თუმცა კამპანია საანგარიშო პერიოდში არ დაწყებულა. | | |

| ვალდებულებით გათვალისწინებული აქტივობა | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება | საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია | არ შესრულდა, მიმდინარეობს მუშაობა |
| **ვალდებულება** ითვალისწინებს საპარლამენტო კონტროლის შესახებ შემდეგი ინფორმაციის გამოქვეყნებას:<br>• პლენარულ და კომიტეტის სხდომებზე პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის მიწვევის ან საკუთარი ინიციატივით მისვლის შემთხვევაში, დამატებით მიეთითოს თანამდებობის პირის დაბარების გადაწყვეტილების/მოთხოვნის ამსახველი დოკუმენტი და გამოქვეყნდეს სხდომის აუდიო ჩანაწერი.<br>• კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირების მოწვევის შემთხვევაში, დამატებით, ვებგვერდზე უნდა განთავსდეს კომიტეტზე დასწრების თარიღი, ხოლო არდასწრების შემთხვევაში - ანგარიშვალდებული პირის პასუხი/წერილი (თუ ასეთი არსებობს);<br>• კომიტეტის თემატური მომხსენებლის (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 45-ე მუხლი) მიერ მომზადებული წერილობითი ანგარიში ან კომიტეტის სხდომაზე წარდგენილი მოხსენების აუდიოჩანაწერი;<br>• ინტერპელაციის წესით გაგზავნილი კითხვების, მიღებული წერილობითი პასუხისა და პარლამენტის პლენარული სხდომის სრული ჩანაწერი;<br>აღნიშნული აქტივობები 2021 წელს უნდა განხორციელებულიყო, თუმცა **არ შესრულდა**. | | |

## 3.4. მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა

| ვალდებულებით გათვალისწინებული აქტივობა | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერება საპარლამენტო საქმიანობაში | • გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)<br>• ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)<br>• აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო/დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (USAID/GGI) | ნაწილობრივ შესრულდა |
| ვალდებულებით გათვალისწინებული კვლევა „საპარლამენტო საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასება“ დასრულდა 2022 წლის იანვარში.<br>მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გაწერასთან დაკავშირებით, შესრულების ვადა შეიცვალა და ახალ ვადად განისაზღვრა 2022 წლის დეკემბერი. სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა, რომ ამ აქტივობის განხორციელება დაიწყება პარლამენტის აპარატის სტრატეგიული განვითარების გეგმის დასრულების შემდეგ. | | |

| ვალდებულებით გათვალისწინებული აქტივობა | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| მოქალაქეთა ინფორმირება ახალი კანონმდებლობის შესახებ | განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) | ნაწილობრივ შესრულდა |
| ექსპერტისა და სამუშაო ჯგუფის ჩართულობით შემუშავდა საინფორმაციო ფურცლის (საკანონმდებლო დაიჯესტი) ერთიანი ფორმატი. ექსპერტმა წარმოადგინა საკანონმდებლო დაიჯესტის ვრცელი და მოკლე ნიმუშები, კომიტეტებში განხილვის შემდეგ ორივე ნიმუში მოწონებულ იქნა. კანონი, რომლის შესახებაც მომზადდება საკანონმდებლო დაიჯესტი, შეირჩევა წამყვანი კომიტეტის მიერ, საზოგადოებისთვის საინტერესო თემებიდან გამომდინარე. საკანონმდებლო დაიჯესტები მომზადდება და პარლამენტის ვებგვერდზე პილოტურ რეჟიმში განთავსდება 2022 წლის საშემოდგომო სესიის განმავლობაში. | | |

## 3.5. პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა

| ვალდებულება | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| პარლამენტის ყოველწლიური ანგარიშების სტრუქტურის გაუმჯობესება | საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო | არ შესრულდა დადგენილ ვადაში, მიმდინარეობს მუშაობა |
| საანგარიშო პერიოდში **ვერ განხორციელდა** პარლამენტის ყოველწლიური ანგარიშისა და კომიტეტების ანგარიშების ფორმების ცვლილებების მომზადება და ბიუროსთვის ანგარიშების ახალი ფორმების წარდგენა.<br><br>საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლის მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, შეირჩა ექსპერტი, რომელიც წარმოადგენს რეკომენდაციებს ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით. | | |

| ვალდებულება | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| პარლამენტის ეთიკის საბჭოს მუშაობის ეფექტიანობის გაუმჯობესება | ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) | არ შესრულდა დადგენილ ვადაში, მიმდინარეობს მუშაობა |
| ვალდებულება ითვალისწინებდა ეთიკის საბჭოს წევრების, ასევე სხვა დეპუტატებისა და აპარატის ცნობიერების ამაღლებას, საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. საანგარიშო პერიოდში, პარლამენტში, ეთიკის საბჭო არ იყო შექმნილი. ვალდებულების ფარგლებში ჩატარდა სამუშაო ჯგუფის ერთი შეხვედრა. ჯგუფის წევრებს შორის გაზიარდა პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის დამხმარე სახელმძღვანელო და მოკლე გზამკვლევი ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ქცევის წესების შესახებ. | | |

## 3.6. საპარლამენტო ღიაობის გაუმჯობესება

| ვალდებულება | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| ყოველწლიური კონფერენცია პარლამენტის ღიაობის აქტუალურ საკითხებზე | გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) | ნაწილობრივ შესრულდა |
| საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის გაზიარდა ღიაობის საკითხებზე ყოველწლიური კონფერენციის კონცეფცია. ვალდებულების შესრულება იგეგმება სამოქმედო გეგმით გაწერილ ვადაში. | | |

| ვალდებულება | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში საპარლამენტო ღიაობის ინიციატივის ფარგლებში რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება | გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) | ნაწილობრივ შესრულდა |
| სამუშაო ჯგუფის წევრებმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში საპარლამენტო ღიაობის ინიციატივის ფარგლებში რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით გასამართი პირველი შეხვედრის სავარაუდო თარიღად განსაზღვრეს 2022 წლის გაზაფხული-ზაფხულის პერიოდი. საერთაშორისო დონეზე მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ, კერძოდ, აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყანაში, უკრაინაში რუსეთის შეჭრამ და საომარი მოქმედებების მიმდინარეობამ შეაფერხა დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. | | |

## 3.7. საკანონმდებლო პროცესის ხელშეწყობა და გაუმჯობესება

| ვალდებულება | ინიციატორი | სტატუსი |
|---|---|---|
| კანონპროექტის განმარტებითი ბარათის ფინანსური დასაბუთების სარეკომენდაციო მეთოდოლოგიის შემუშავება | პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი | ნაწილობრივ შესრულდა |
| აღნიშნული ვალდებულება ითვალისწინებდა რამდენიმე აქტივობას:<br>• დაინტერესებული პირებისთვის საბიუჯეტო ოფისის მიერ შემუშავებული დოკუმენტის დაგზავნა და მიღებული რეკომენდაციების განხილვა<br>• საბოლოო დოკუმენტის მომზადება<br>• დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ, ვიდეორგოლის გადაღება და დაინტერესებული პირებისათვის ტრენინგების ჩატარება.<br>საანგარიშო პერიოდში მეთოდოლოგიის დოკუმენტი მომზადდა და გაეგზავნა დაინტერესებულ მხარეებს. | | |